

გზაგადასვლა

№ 2.

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

გზაგადასვლის ფასი: ერთი წლისა გავზავნით და გავზავნავენ —
სხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გზაგადასვლის ფასი და ყოველ გზაზე წერილების გავზავნი
შეიძლება რედაქციაში ამ აღრესით: გზაგადასვლის „მწვერვლის“
რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Во мѣстечко Шорапан.*

Во редакцію „Містечко“ (Пастыр).

განცხადება მიიღება გზაგადასვლით დასაბუთებულ შიშველ ფასით.
მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დაბეჭდვა
გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუ-
თარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც რედაქ-
ციაში იქმნება გამოგზავნილი დასაბუთებულ, უფოდ ვრცლად
და გასაგებად უნდა იყოს ავტორთან სულ მოწერილი და
თუ ავტორთან თავის ენაობის გამოცხადება არა სურს, რე-
დაქცია არ გამოცხადებს მათ.

ავტორთან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კო-
რესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწო-
რებით დაბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც
არ დაბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს
მათის ხარჯით უკანვე დაბეჭდონ.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენა-
ზედ დაწერილიც მიიღებიან და აარგვანით დაბეჭდებიან.

შინადასანი: განხილვა უწყვეტის სინოდის. — სეპტემბერში შესულია ეკლესიების მოხსობა. — ახლანა პირველ
წოდებული (ისტორიული პოემა). — სომხეთის მდგომარეობა ოსეთში. — სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები. —
ურთულ კაცეთის მიმოხილვა. — სიტყვა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის განაჩევის მიერ. — ახლანა პირველ წო-
დებულის ცნობებები და წამება. — კალენდარული ცნობები. — განცხადებანი.

მ. შ. ი. ც. ი. ა. ლ. უ. რ. ი. ნ. ა. ვ. ი. ლ. ი.

განცხადება უწყვეტის სინოდის.

9—18 დეკემბერი 1883 წლის № 2510 სასუ-
ლიერო სასაბჭოთაო მთხი კლასის უწყვე-
ტის სინოდის საბჭოთაო სასულიერო სემი-
ნარიში მიღების წესების შესახებ.

ოქტომბრის მებრ ზისის უწყვეტობითი
შედეგებისა ო. წმიდისა და ო. მართებულისა
სინოდის მოიხილვის წინადადება ო. წ. სინო-
დის ობერ-პროკურორის 1-ს დეკემბრიდამ
1883 წლის № 5971, რომელითაც უცხა-
დებს ო. წმიდის სინოდს ჯეროვანის განკარ-
გულებისათვის მას, რომელ ღელმწიფე უწყვე-

ტორმა 26-ს დღეს ნოემბრის 1883 წელს
უძღვეს ინება დამტკიცება ო. წმიდის სი-
ნოდის განხილვის 19—29 თებერვლიდამ
ამა წლის სასულიერო სასწავლებლების
ათს-კლასიანი მოწაფეების სასულიერო სე-
მინარიში მიღების წესების შესახებ. № 2510.
ო. წმიდის სინოდის განცხადებით 19—29
თებერვლის რიცხვიდამ ამა წლის დადგენილ
არს: 1) მისაღები გამოცდა და კვანძები
სემინარიებში ოთხ-კლასიანი სასულიერო სას-
წავლებელთა მოწაფეთათვის მოიხილოს; მიღება
სემინარიებში მოხდეს სასწავლებელთა სამარ-
თველოთაგან მიცემულ მოწმობებით; ამ მოწ-
მობებში უნდა გამოცხადდეს სამძნოველომ:
ღირსია თუ არა სემინარიის პირველ კლასში
მიღების წარმადგენელი მოწმობის, რომელითა

შინა უნდა იყოს გამოყვანილი, თუ როგორ სწავლობდა მოწაფე ეგვლა საცნებს (გარდა ეგვლესიური კალობისა და წერისა თანახმად ოაწმადესის სინოდის განჩინებისა 1—12 მარტილამ 1883 წლის), 2) იმ შემთხვევაში, როდესაც მისაღები შავირდების რიცხვი აღემატება სემინარიაში ვაკანსიების რიცხვს, სემინარიის სამმართველოს მიენიჭება უფლება განისილოს მოწმობაები ეგვლა მისაღებ მოწაფეთა და უპირატესობა მისცეს მიღებაში ისეთ მოსწავლეთა, რომელნიც, სხვებთან შედარებით უძჯობესნი იქმნებიან სწავლით და ეოფუქციებით. 3) იმ შემთხვევაში, როდესაც ღირსნი სემინარიაში მიღებისა მეტი იქმნებიან და ცარიელი ადგილი არ აღმოჩნდება სემინარიაში, სემინარიის სამმართველოს შეუძლია, დადგენილის წესებისა-მებრ, იშუამდგომლოს ზარალგეული განყოფილებების კანსნა სამღვდელთების ხარჯით, რამდენიც საჭირო იქმნება. 4) თუ სემინარიის სამმართველომ შენიშნა, რომ რომელიმე სასწავლებელში სწავლის საქმე ცუდად მიდის ანუ რომელიმე სასწავლებლის შავირდები რიგიანად არ არიან მომსაღებულ, რომლისაგან დაინახება სწავლის საქმის დაცემა ამა სასწავლებელში, ანუ სემინარიის სამმართველო შენიშნავს სუსტუტათ მოაწრობას ბაღების დასათრევის შემთხვევაში, რომელსაც ნიშნავს სასულიერო სემინარიის სამმართველონი თანახმად (§) 32 სასწავლებლის წესებისა, მიენიჭებათ მათ უფლება გამოარჩიონ თვის შორის ერთი ანუ ორი ჰირი სასწავლებლებში ეგსამენებზე დასასწრებლად, რომელთაც ექმნებათ სმა. იმისთანა მოწაფეები, რომელნიც სასწავლებლის სამმართველოსაგან იქმნება ცნობილი არა ღირსად სემინარიაში მიღებისა და მშობელთა სახლებში მოეპსადებიან და შეისრულებენ რაც, აკლდათ,

შემდეგ სემინარიის მოაწრობას შეუძლია მოაწრობას ისინი ეგსამენის დასაჭერად ერთად იმისთანა ჰირებთან, რომელნიც შინაურულად იქმნებიან მომსადებულნი, ანუ სხვა საერო წოდების სასწავლებელთაგან. ისურვებენ სემინარიაში შეიძვლას. წინათვე ჯეროვანის განკარგულების მოსაღებადის ორთა ჰირეულთა მუსლთა ამა განჩინებისათა, მიენდას უ. ოაწმადესის სინოდის ობერ პროკურორს გამოითხოვოს ოაბლელი ჰისი უმჯერატორებითი შიდეგულების ნებართვა. ბრძანეს: განცხადებულ უმჯლეს ნებართვაზე და აღმოწერილ სწრაფავსა სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებელთა და სემინარიებთ სამმართველოთა და საეოველთაოდ გამოსაცხადებლად ეცნობოს „ცერკოვნი ვესტნიკ“-ის რედაქციას, ჩვეულებისამებრ.



სემინარიის სამმართველომ შენიშნა, რომ რომელიმე სასწავლებელში სწავლის საქმე ცუდად მიდის ანუ რომელიმე სასწავლებლის შავირდები რიგიანად არ არიან მომსაღებულ, რომლისაგან დაინახება სწავლის საქმის დაცემა ამა სასწავლებელში, ანუ სემინარიის სამმართველო შენიშნავს სუსტუტათ მოაწრობას ბაღების დასათრევის შემთხვევაში, რომელსაც ნიშნავს სასულიერო სემინარიის სამმართველონი თანახმად (§) 32 სასწავლებლის წესებისა, მიენიჭებათ მათ უფლება გამოარჩიონ თვის შორის ერთი ანუ ორი ჰირი სასწავლებლებში ეგსამენებზე დასასწრებლად, რომელთაც ექმნებათ სმა. იმისთანა მოწაფეები, რომელნიც სასწავლებლის სამმართველოსაგან იქმნება ცნობილი არა ღირსად სემინარიაში მიღებისა და მშობელთა სახლებში მოეპსადებიან და შეისრულებენ რაც, აკლდათ,



ა რ ა ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი :

სასულიერო სემინარიის მისაღები მაჰამანბის მოსაზრება ოთხ კლასიან სემინარიისათვის.

ზიდი წერა და ლაპარაკი იყო ამდგარი რუსულ სასულიერო და საერო ყურანლ-გაზეთებში იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში კურსის დასრულების შემდეგ მინიჭებოდათ ისეთივე უფლებანი, როგორც აქვთ მინიჭებული, დიდი ხანია, საერო წოდების სასწავლებლებში მოსწავლეთა. როდესაც ვინმე ოთხ-კლასიან პროგიმნაზიის ათავებს, მოწმობით მიღის გიმნაზიაში და გამოუცდელად, მარტო ატესტატით, მიიღებენ მას. აგრეთვე როდესაც გიმნაზიის კურსის ასრულებს მოსწავლე, აძლევენ მას ატესტატს; ამ ატესტატით კურსის შესრულებულნი მიდიან პირ-და-პირ უნივერსიტეტში და გამოუცდელად იღებენ მათ მაღალ სასწავლებლებში. რიგიც სწორეთ ასეთ. მათ ადვილად გამოსცადეს კაცი რამე საგანში და გამოჩნდა, რომ საგანი კარგად შესწავლილი ჰქონებია. რაა საკერაო მისი ხელმოწერა გამოცდა ორი თვის შემდეგ? ნუ თუ ორ თვეში დააიწყდა მას ის, რაც რვა წელიწადში შეუსწავლია!

მისთანა წესი სუფევდა და სუფევს ყველა საერო წოდების სასწავლებლებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სასულიერო წოდებაში ამისთანა წესების შემოღება კანონის დარღვევათ მიანდათ აქნობამის. მათავებდა თუ არა ოთხი კლასის კურს, მოსწავლე იქერდა მშვენიერად ეკზამენს და იღებდა ატესტატს. მაგრამ ეს ატესტატი მან ვერ შეეღობა, რომ სემინარიისი უეკზამენით მიეღოთ. ოთხ კლასში კურსის შესრულებული მიიღოდა სემინარიისი აგვისტოს თვის დამლევს ეკზამენის დასაქვრად. მოხდებოდა ხშირად, რომ რომელიმე უზრალო მიზეზების გამო რჩებოდა მიუღებელი და უკან ბრუნდებოდნენ იმ დროს, როდესაც ყველა სასწავლებლებში სწავლა დაწყებული იყო და შვირდების მიღებაც მოსპობილი. ამისთანა წესებისაგან მრავალი ნიჭიერი პირის განება დახშობილა და გაუუქმებულა სამუდამოდ; ამას გარდა ნიეთერთაც დიდნ ზარალი მისცემიათ.

ემ ბოლოს დროს ზოგიერთთა პირთა გამოიგონეს ერთი საშუალება, რომლისაგან, ცოტა არ იყო, მოსწავლეებს საღვათი ეძლეოდათ. სასულიერო სემინარიებში საეკზამენიოდ იბარებდნენ იენისის

პირველ რიცხვებში, მაშინვე, როგორც ოთხი კლასის კურსის ათავებდნენ. მოსწავლეები, თუ ეკზამენს ვერ დაიკრებდნენ სემინარიაში მიღებისას, სხვა სასწავლებლებში შევლის და ეკზამენების დაქვრის დრო მაინც არ ეკარგებოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წესმაც დიდი სარგებლობა ვერ მოიტანა. მიიღეს სემინარიაში ისეთები, რომელთაც ატესტატში ცუდი შენიშვნები ჰქონდათ სწავლაში, არ მიიღეს ისეთები რომელნიც კარგად სწავლობდნენ სასწავლებლებში, მომხდარა ისეთი შემთხვევაც, რომ არ მიღებულა ზოგიერთი მოსწავლე, რადგან მისი პირის სხნე არა კეთილ საიმედო სახეთ მოსჩვენებია ხოლმე გამოცდელს...

ხსლა სასინარულოდ, ყოველთა სამღვდლო პირთა, მოისპო ეს წესიც და დაწესდა ის წესი, რომელიც თუთხმეტი წელიწადია სუფევს საერო წოდების სასწავლებლებში. ამიერიდან განმეორებითი მისაღები ეკზამენები სემინარიაში შესასვლელად მოსპობილია. შეეღას შეუძლია მარტო ატესტატით იქნეს მიღებული ოთხი კლასის კურსის შესრულების შემდეგ სემინარიაში.

ხანანი, როგორც სხვა ყველა, ისე ეს ანალი კანონიც, რასაკვირველია, ძლიერ კარგი და მოსწონია, მაგრამ საქმეს ის არის, როგორ აასრულებენ ამას ზოგიერთი სასწავლებლების სამმართველონი. თუ ატესტატის მიღება ძლიერ გაუძნელეს მოსწავლეებს და ცოტა მიზეზებს გამოეკიდნენ, რასაკვირველია, ბევრს დაეხშობა გზა მაღალ სასწავლებლებში შესვლის დაბალი სასწავლებლებიდან. ში თუ გამოწნელდეს მოწმობებში ჩაწერა სიტყვებისა: „ლიჩსი აქ პირველ სემინარიის კლასში გადაყვანისა“ რომელსაც ანალი უქაზი ითხოვს სასწავლებლის სამმართველოთაგან, როგორც სემინარიის პასუხის-გებით სემინარიის სტუდენტების გაგზავნა არის გაძნელებული აკადემიებში!

იმერთან ჰქმნას, რომ სამღვდლოების მოლოდინი არ გამეტყუნებოთ ოთხ კლასიან სასწავლებლთა სამმართველოებს.

ის განკარგულება შეეგება მარტო ოთხ კლასიან მოსწავლეებს, მაგრამ სემინარიელების უეკზამენოდ მიღებზე აკადემიებში ვერ ჯერობით არაფერი განკარგულება არა სჩანს. იმედი უნდა ექონიოთ, რომ სემინარიელებსაც მიენიჭებთ ეს უფლება.



ანდრია ჰირველ-წოდებული.

ისტორიული პოემა.

(გუშუნი მაღალ-ლირს არსიანდრიტს გრივოს)

I.

შვიდ-თავას და შვიდ ხეღას

ქართლის გამომსახველად
ბოჩო-კერძს აღმერთებდენ
ჩვენი მამები ძველად.

ჰქონდათ შიში და რიდი
ქანდაგის ძლიერების
და სიტუებიც სჯეროდათ
მისის ქერუმ-ბერების.

როცა ქერუმი ვისმეს
დასდებდა რამე ბრალეებს,
მაშინ ბოჩოც მრისხანედ
უკვრიალებდა თვალეებს;

ხან მეცლით იძახოდა,
ხან დააქნევდა თავსა;
და თრთოლაში მოჰყავდა
ხალხი ამ სანახავსა.

მსხვერპლი მსხვერპლზედ მიჰქონდათ,

გულით ევედრებოდენ!..

ბოჩო-ბოჩოთ რჩებოდა...

ქერუმნი მსუქმდებოდენ.

მრავალმა საუგუნემ
განვლო შეერყეველად,
არვის ბოჩოს დამერთობა
არ ჰქონდა საუგუნოდ.

სახამ არმაზ ძლიერი,
სპარსეთით გადმოსული,
არ შეეტაკა ბოჩოს

უზომოთ გულ მოსული.

მისის თანა-დამერთები

მოედო საქართველს;
მაღალ მთებზედ აგებდენ
ბომონებს სამლოცველოს!

ერთი სამცხის გორაზეც

იყო ამაღლებული

და მისი ქორუმებიც

თვალთ მაქცობით ქებული.

ანბობდენ რომ ,,მთ სადგურს.

გარედან კი ვხედავთო,

მაგრამ შაკ ფენის შედგმას

შიშით ვერა ვხედავთო,

რადგანაც ავსილია

მადლითა და ძალითო.

და ჩვენ იმ საიდუმლოს

ვერ ვინილავთ თვალთო;

მხოლოდ გვესმის შიგნიდან

რადაც სმაურობაო,

თვითქმს დამერთებს უოველ-დამ

აქვსთ სადმართო სტუმრობაო!..“

მართალს ანბობდა ერთ

ესმოდათ დამით სმები,

მაგრამ დამერთების ნაცვლად

იღნენდენ ქერუმები!..

ერთხელ ჩვეულებრივად

სუფრა იყო გამდილი;

გარს უსხდენ ქერუმები

სანოვავით ავსილი.

რაც იმ დღეს გერპებისთვის

შეეწირა ერს მსხვერპლად,

რიგ-რიგისად დაეწოთ

იმ სუფრაზედ უკლებლად.

სჭამდენ შეექცეოდენ

ერთად გულ-მადიანად;

ზედ დვირს აყოლებდენ

იმდურდენ ტკბილ ხმინად.

ერთმა მთავარ-ქერუმმა

კათხას მოავლო ხელი

და ეთხრა მერქიფეს;

„მოიტა ძველის ძველი

და პირამდე ამისე

ჩემი კათხა რჩეული!..

ვინც რომ არ გამოსცალოს,

იუღს წვერუმ წვეული.

მჭვირვალი ღილის წვენი

სულ-ხორცივით ტკბილია!..

სიმართლეც ამამა...
სხვა სუუველა ტყვილია!..

შენთანა ვარ ზარფუშო!

ნეტავ, რათ მოგწენია?

სანამ ქვეუხა ბრმაა,

ეს სოფელიც ჩვენია?

შესვი გამხიარული

არ გადაჰყუე ოცნებას

და მით არ უღალატო

ქერუმთა მაღალ მცნებას!..“

ზარფუმ ერქვა ერთს მათგანს

მემანქანეს გერპების;

ის იყო სიქადელი

და სიმტკიცე იმ კრების.

სამანქანო მის ქცევას
ვერ ასწრებდა ვერ ვინ თვალს;
უჩინრად მოქმედობდა
არ სტოებდა გზა და კვადს.
ქურუმთა უხუცესის
იყო მარჯვენა ხელი
მისი მესაიდუმლე,
მისი თანა მძრახველი
და ამან სთქვა პასუხად:

„ქურუმთა უხუცესო,
კანონის ის ჩვენთვის,
რაც უნდა დაგვიწესო!
რაც ბრძანეთ, უველამ ვიციოთ,
არის ჩვენი ხელობა,
მაგრამ გვმართებს ხან და ხან
წინა-გამჭვრეტელობა.
ვაი თუ ჩვენს დიდებს
ერთხელ ბოლო მოეღოს
და რაც დღემდე კმაროდა,
ერს აწ ის ადარ ეყოს.

მართალია ბოჩოზუდ
მან გული აიყარა,
მაგრამ გულ-მხურავლებით,
ვრც არმას შეეყარა.

ასე ანობს: „რომ ბოჩო.
არ გამოდგა დემრთიო!...
ეგებ შეორეც სტყუა,
თუ სტყუოდა ერთიო!..

ეჭვი ერს გვიორგულებს;
შემვირდა სამსახური,
რაკი ჩვენს სასწაულებს
შეაჩვიეს თვალ-ყური.

დრო არის გამოცხვკვალოთ
ჩვენის ხერხის სავანი
და უჩვენოთ ერს რამე
უჩვეულო მანქანი!“

ააშფოთა ამ სიტყვამ
მაშინ მთელი კრებული
და ერთმანეთს უმზერდენ
კუდათ ჩაფიქრებული.

მხოლოდ თავარ ქურუმი
არ იმჩნევდა ამ სიტყვებს;
აგდებულის დიმილით
უურებდა განზედ სხვებს.
მოამბის რეგვენობა,
თვითქოს ერცხვინებოდა
და თანაც მათ სიფრთხილეზე
გუფლით ეცინებოდა.

მერე სთქვა: „თქვენი ბრალი!
რა ცოტაზედ სწუხართო,
ისევ გამხირუფლით,
მოწყენილი ნუ ხართო!
ულოდნელმა სიტყვებმა,
როგორ დაგადონათო?
მაგას მე არ ვფიქრობდი,
განა თქვენ გეცოდნათო?
მაგრამ ადვილი არის
მაგის გასწორებაო
და მაგისთვის მანქანი
სუფ არ მეჭირვებო.

თვალი არისო ამ სოფლაფ
კაცის მოქმედებაო:
ზედი-ზედ რასაც ნახავს
უველა მოსწონდებაო.
ნახული აქვს სუქველას
ჩვენი სასწაულიო
და რაღას გაიკვირვებს
ერთხელევე ჩვეულიო?
მაგრამ მე სუფ სხვა გვარად
დავიმონებ ერსაო,
დაუფებ გამოკანანს
მის ჭკუის საფერსაო.

გაზდილი მუჯს, თქვენც იციო
საოცარი გველიო
არ ვინ არის ვარემე
იმისი მნახველიო.

შემოვახვევ სამსვერპლის
ცხოველთ მუღაპავ ბუასო
და ურჩს ჩვენის ნებისას
ის ასწავლის ჭკუასო.

მის უცხაურ ვახეხას
დემრთებს დავაბრალებო
შვილებს მსვერპლად მოვითხოვ,
მშობლებს გავამწარებო.
და როცა სინაუფში
ჩავარდება ერთიო
მხოლოდ მაშინ გაქრება
გველიც მათი მტერიო.“

ეს სიტყვები მაღამოთ
გულში მოხვდათ ცბიერებს
შვებით აცმაყურებდენ
უღვაშებსა და წვერებს.
მადლს და ქებას უძღვნდენ
მოხერხებულ უფროს ძმას
და ეძლეოდადენ ისევ
უზომო ჭამას და სმას.



II.

ჩხალ-გაზდა მზეჭაბუკი
შენება ამ სოფლისა;
უფლის წული, დედის ერთა
ჩვენი სამცხის დედოფლისა.

დედის ძუძუთ ვაზღვლილია;
ნანატრივით ბედნიერი!..
თავს ევლება დედოფალი
და შეხარის მთელი ერი.

მათ სამთავროს სვე და ბედი
იმის კალთა უბეშია!
იმდისა და შატარასთვის
თანასწორი ნუგეშია!...

უველა უვარს!.. უველას უვარს,
საზოგადო მოსიამე,
ღონინი არის სასახლეში

გაუსწლელთათ დდე და დამე.
მაგრამ დდეეს კი უჩვეულო
სხვა რაღაცა ანბავია:

აღარც როკვა, არც დროება,
აღარც ტუბილ-ნმა საკრავია.

იმათ ნაცვლად გამოისმის
გოდეება და მოთქმა ზარი!
ოდას მეხი დასცემია,
დამქცევი და შემაზარი.

სასახლის წინ დედა წულით
მოუყრია თავი ერსა;
ჩამოწყვეტილ გულ-საკინძით
იგლეჯს თმას და უღვაშ-წვერსა.

ოღოლის ნაშნად გოფე საზარტო
აქსესკუნ სეუსარ-პეკსა
და ტირილით უყოივან,
უძხინან მზეჭაბუკსა.

მაგრამ მათი ეს გოდეება
აღარ ესმის უფლის წულსა
უძრავად და უსუფადგმულოდ,
შავ კუბოში ჩადებულსა.

თავს ადგია დედა მისი
გულ-ღია და თმა გაშლილი;
ჯერ კიდევ არ ემეტება
სასიკვდილოდ მისი შვილი.

ხან ეხვევა, ხან აკოცებს,
სათუთ სოტუვებს ეუბნება,
თვითქმუნ და ხელ-მეორედ
მითი სულის ჩაბრუნება.

ეებნება; „შვილო! შვილო!
ნუ ეძლევი ხანგრძლივ ძილსო!
შენებურათ გაუცინე

დედას შენზედ დადრეჯილსო!
შენს ერთგულებს ხმა გაეცი,
უაღერსე ჩვეულადო!..
გმართებს მათი მასპინძლობა!..

თავს გადგიაწ ვწვეულადო!..
მზე-ჭაბუკის გახარება
არ შეგშვენის ეგ უოფაო!
რაც იხუმრე გმარა შვილო,
დედას ისიც ეოფაო!“

ნადვლიანი დედის სიტყვა
გულ საკლავად-ესმის კრებულს,
მაგრამ რა ქნან ვერ შევლიან
ჭირის-უფალს გამწარებულს.

ამაინ წარსდგა დედოფლის წინ
ქვრივი ვინმე კადნიერი
და უანბო ისეთი რამ,
რომ გაკვირდა მთელი ერი:

დედოფალიო! ჩემს სახლში სდგას
ერთი ვინმე უცხო ტომი,
კაცის შვილის მოყვარული,
უველასათვის კარვის მღამი.

დემრთად ანბობს ვიღაც ქრისტიეს.
აღიარებს მხოლოდ ერთსა
და იმის მეტს სულ არად ხდის
ქვეყნიერად არც ერთ დემრთსა.

თანვე დააქვს ფიცარი რამ
ქალია ზედ დახატული.
თვით უოფილს მისი შვილის
მოწაფე და მოციქული.

ანბობს: „მის დემრთს კინცა იწიშებს,
მადლით ნათელს მიაფენსო;
საუკუნო უკვდავებას
მისცემს მკვდრეთით აზადგენსო!..“

გაცოცხლება მკვდრების ეგებ
მოწაფემაც კი იცოდეს.
მიბრძანეთ და მე მოვიყვან,
თუ გსურსთ, რომ ის აქ მოვიდეს.“

კაცის თავზედ თუ სტრიალებს
უკუდმართი ბედის წერა,
გინდ საეჭვოც რამე უთხრან
სანუგეშოთ, მინც სჯერა.

ქვრივის სიტყვა იმ კრებაში
არავინ არ დაიჯერა,
მაგრამ დედას კი იმედმა
ბული ტუბილათ აუტყვარა.



და მკერნაღის მოსაყვანად
 მოციქულებს ატანს თან ქერვის,
 ახარებს რა მასთან სიტყვებს
 შესაბრაღსა და დედობრივს.

III.

იდვას დედოფალი სარკმელთან მენჯად
 და სულს უგუბებს მას ჭმენვის ალი,
 რეუტ დასწმელივით გამოძტურებულს,
 გზისკენ უჭირავს მდეღვარეს, თვალი.

დარბაისლებიც, მის შემხედავი,
 თანგრძობის ნიშნად სდგანან მღუმარე
 და მოხუც დეებს, გუფ ღმობიერებს
 ცრემლები სცვივით დვარად მდეღარე.
 კაკლუც ქალებიც მკერნაღს უცდიან,
 თუმც არ ელიან მის სსწაულებს,
 და მარტო მხოლოდ უცხო ტომობა,
 ცნობის მოყვარეთ უფელავს გულებს.

გარედამ რაღაც უჩვეულო ხმის
 ხრიალი ისმ ს, იღება კარი
 და უღოდნელად მისის დაქაშით
 ხსნამი შემოდის ქერეთ მთავარი;

ოქრო ქსოვილით ტან შეხურვილი
 ეცქმეს სხვა და სხვა ხმით აყდრიალებს
 და უცრობით შემკრთალსა კრებულს
 ის უბრიალებს მრისხანეთ თვალებს.

ახობს: „უგნარნო და უმეცარნო!
 როგორ ივიწყებთ დიდებულ დმერთებს?
 გზა არ იცით რომ მათი რისხვა

მც კერძო საჯელს თქვენც გაგიერთებს?
 ჩვენს მარხვა-ლოკვას უნდა მადლობდეთ,

რომ გიგზავნიან მხოლოდ იმ ერთ გველს
 და არა მრავალს, რომ შეჰოარტუნან,
 თქვენ ჩასანთქელად, ირგვლივ მთელ-სოფელს.

როგორ გაივლით ან ჯინებაში,
 რომ ჩვენს დმერთებზედ აიღოთ ხელი
 და მათ სანაცვლოდ დმერთად იწამოთ,
 ტანჯული, ვიდაც ნაწარვევი?

თვით სხვეისაგან მკვდარს და მის მოწაფეს
 სხვისი საშველი ვინ მისკათ ძალა?
 აბა მოვიდეს და გამოქადადეს
 ვიდაცა არის ის მაწაწალო!..

თვითქოს ესელოდ რაღაცა ძალიამ
 ამ დროს კარები შემოაძკვრია
 და გამოქადადდა საყოველთაოდ
 იქ მოციქული წმინდა ახდრია.

ღარობ სამოსლით მგზავრად ჩაცმული,
 არ ბრწყინავს ძვირფას სამკაულებით:
 ხელი უპურიან ხატი დვთის-მშობლის,
 თავ ქუდ მოხდილსა, ფეხზედ ხაღმებით.

მშენიერისა სხვის სიმშვიდე,
 ციურის ძაღის გამოძმეტყველი
 და მის თვალების სიბრძინისა სიღრმე,
 სარწმუნებელი და უეჭველი.

მჭკრეტელს ხიბლავან უნებლიეთად
 უცნარის რაღაც ძალითა.
 და სოფლის დელით, ურვილსა სუელსა
 ანუგეშებენ მომავალითა.

შეკრთა ქერეში და ახალ მოსულს
 ვერ გაუმართა კრებულმა თვალი;
 გაკვირდა ერი და იმავე დროს
 მის წინ დაემხო თვით დედოფალი.

და შევედრას: „გეტუობა რომ ხარ
 ამ ქვეყნიერად დიდი მკერნალი
 და გამოცოცხლე ეს მკვდარი! მზე
 გამოიჩინე ეგ შენი ძალი.

და სასყიდელსა რასაც კი მომთხოვ
 შესაძლებელსა ამ სოფლიურს
 მეც ავისრელებ სიამოვნებით,
 ამაზედ სიტყვას გაძლეც დედოფლურს!“

„საბრალო დედა! სთქვა მოციქულმა—
 მე, ჩემდა თავად, არა მაქვს ძალი
 და ქვეყნიერად იმას ვასრელებ
 რასაც მიბრძანებს მაღლით უფალი.

ის რომელმაც სთქვა: „თუ უეჭველი
 კაცსა გულში აქვს სასოებაო,
 მაშინ იმისის სიტყვა სწრვილით
 მაღლი მივებიც აიძრებაო.“

აი ეს არის იმისი დედა
 წმინდა მარიამ ქალწულ-მშობელი
 და ვინც იწამებს იმის ძეს დმერთად,
 მისი ძლიერი შეამდგომელი“.

გადისარხარა ქერეთ-მთავარმა
 და დიძახა: „თქვენი მკერნალი,
 როგორც ეტუობა ღაწარაკიდან,
 ან გჳი არის და ანუ მთვრალი:

თავსა ამ სიტყვებს განა იტყოდა
 ადამიანი ვაწება მრთელი?
 უერს როგორ უგდებთ? არ გეგადრებათ!..
 გაგადეთ კარში ვიდაც სუელი!..

ვსთქვათ, რომ დედოფალს უებდურება
 ნაღვლით და მხამით მოურწყო ვნება
 და შეურყია მკერე რამ ხნობით
 საქვემდებარო ჭგუ-ვაწება,

მაგრამ თქვენ მაინც, დარბაისლებო,
როგორ იწამებთ გლახის სიტყვები
და საორგულო ჩვენის დამერთების
ასმიანეთ ყურთა საზარის ხმები,

მისი ვინც ასე შეუპოვრობით
არაფრად ავადებს ჩვენს ძლიერ დამერთებს
და მათ სანაცვლოდ გვპირდება იმ დამერთს
რომელიც ვითომც, მთებს ათამაშებს.

ხა! ხა! ხა! ხა! ხა!.. თუ სხვებს აკოცხლებს,
თვითონ რათ მოკვდა სხვისგან ტანჯული?
და ან დარბაით ასე რათ დადის
მისი მოწათუ და მოციქული?!”

სოქვა მოციქულმა: „ვინცა შენსავით
გადუყოლია უკედმართ-ვნებას,
ის ვერცა გრძნობით და ვერც გონებით
ვედარ მისწვდება დვითურ გონებას.

ძე დმართისა, ქვეყნად მოვლინებული,
ჩემი მოძღვარი, ნაზარეველი,
სამსხვერპლოდ მიუღის კაცობრიობის,
თვისის უმანკო სისხლის მთხვეული,

წმინდა საკურთხხად წინა განძნახვით
მისათვის იყო ის მოვლენილი,
რომ იმ სიკვდილით მას დაეთრგუნვა
სამარადისო ჩვენი სიკვდილი!

ამაღლდა ზეცად და მოწათყთა
სამოციქულო გადმოქვცა მცნება,
რომლის ძალითაც კერპთ-მსახურება
ისე გაქრება ვითა ოცნება“.

სადმართო გაბრძნობით მოსაუბრესა,
მსწერებთან დაკვირვებულები:
თუცხა გონება მათი ვერა სჭრის,
მაგრამ სიმართლეს გრძნობს მაინც გული.

და დედოფალიც წმინდა მოციქულს
შეკვიდრის მაღალ ხელ აპურობილი
და ეუბნება: „ვიწამებ შენ დმართს
თუ გასცოცხლდება ეს ჩემი შვილი!“

„ჩვენც თანახმა ვართ! კარგი სიტყვაა!“
—დასიცივით ანობს ქერამთ-მთავარი—
„აჰ ბურთვი და ჰა მოედანი!..

ჰე მავის ძალა და აჰა მკვდარი!
თუ გასცოცხლებს მაშინ ვიწამებთ
და ავვიარებთ იმ ნაზარეველს,
და თუ ვერა და, მაშინ ევ თვითონ
უნდა მიეცეს მსხვერპლოდ ბუა-გველს!“

—„მაშ გამეცალო! სოქვა მოციქულმა—
ნუდა დარჩებით აქ ნურცა ერთი!..
დღედაც გავიდეს!.. მარტო დავრჩები
და მომიპართავს ხელს ჩემი დმართი!“

გადის კრებული და მკვდართან მარტო
რჩება ანდრია, ადელგეზული;
რადაც უცნურ და უჩვეულო
სასოფითა ეცება გული.

იმჭკავლის მისი მთელი არსება
ციურის ძალით, სახე მდელგარებს
და თვლებს რადაც დვითურის ცეცხლით
მთაგონებულად ის აელვარებს.

ასვენებს ხატს და მის წინ მუხლ მოყრით,
გულში მძრახველი, სდავას ის მდუმარე
და სვეტაც წვერებს ვით აიხზა,
ზე ესხურება ცრემლი მდელდარე.

თვალწინ ესატვის დიდი მოძღვარი,
სოფლიდან სოფლად სიმღელით მსვლელი
და ხმირად წიად იორდანისა
უკვდავებისა შქადაგებელი

იგონებს: ქვეყნად მის მოვლინებას
ხორციელ ვნებას, ზე ამაღლებას
და შემდეგ მისთა მოციქულთადმი
მინიჭებულსა მაღალ უფლებას.

მთ ალი სადმართო ძლიერებისა
სრულად უკარგავს ხორციელ ეჭვებს;
შუამდგომლობას სთხოვს ყოველად წმინდას
და სასწაულსაც მისგან სასოებს

მიდის მუხედართან და დვითს-მშობლის ხატს
ათრთოლებული ადებს სახეზე;
ხელს ჰკიდებს მკვდარს და თანავე სცდილობს,
წამოაყენოს როგორმე ზეზე.

და აჰა!.. ჰუი საკვირველებაც
მკვდარი იმძრევა, თვალეხსაც ახელს
და ჯერ-უფერულ შემკრთალ სახეზედ
გამოსარკვევად წელსა ისვამს ხელს.

ერთი შეკრთამა შეკრთა ანდრია,
მაგრამ მოგეო ისევ გონებას
და მაღლს სწირავდა მისის მაცხოვრის
მიუწითომელსა მაღალსა ნებას.

წამოჯდა მკვდარი, მიმოიხედა
და სოქვა: „რა ტუბილი იყო ეს ძილი,
შენ ვინ ხარ, რომ აქ თავზედ მაღებხარ?
არ უნდა იყო ამ ქვეყნის შვილი?

დიახ, მკვდართ ვარ თქვენში მოსული
უცხო ტომის და უცხო ქვეყნელი;
იქედამა ვარ სადაც ჯვარს აცვეს
დმართი იესო ნაზარეველი.

ის იყო ჩემი დიდი მოძღვარი
მე მის მოწათუ და მოციქული
და აღდგინება შენებრივ მკვდართა
მისგან მაღლით მაქვს მოინიჭებული



როგორ თუ „მკვდართა“ განა მე ვიყავ
 მკვდარი და შენ კი მე აღმადგინე!..
 არა, მე მისხოვს, რომ ერთხელ უცბათ
 გრძნობა დაგვკარგე და დავიძინე.

კიდევ ეკ არის კაცის სიკვდილი,
 მაგით თავდება ჩვენი სოფელი
 და თუ შენ დმერთი არ შეგწეოდა
 დღეს მოგვლოდა საფლავი ბნელი

აი ეს არის დღეს შენი მსხველი
 მის ძის წინაშე შეამდგომელი.
 დედა მღვთისა და ამის ძეა
 ძე ღვთისა ქრისტე ნაზარეველი.

თვით დედოფალმა ის აღიარა;
 სამარადისოდ იწამა დმერთად
 და მანაც მკვდრეთით შენ ადგადგინა
 მის ძლიერების ერთ მაგალითად.

იწამე შენცა და მოგენიჭოს
 ამიერიდამ მადლი უფლისა:
 იქ ნეტარება სამარადისო
 და სიხარული ამა სოფლისა.

ესმის სიტყვები, თუმცა ჯერ კიდევ
 ვერ არჩევს აზრებს უფლისა წელი,
 მაგრამ რადაცა მას უჩვეულო
 სიტკბოებითა ევსება გული.
 და ნიშნად მეტის ნეტარებისა
 ცრემლებს ღვრის გრძნობით ვეღარ იღებს ხმას
 და მოციქულს ასე შეეუბნებს
 როგორც დამსხნელს და საკუთარ მამას

ნაშრომათა, გაგრეთ ჰყვირიან:
 „რადას გვიანობს მოციქულიო!
 დრო არის ახლა რომ დაგვანახოს
 თუ შეუძლია სასწაულოო.

მაშინ გავიდა მათთან ანდრია
 და გაიყვანა თან უფლის წელი:
 შემინდა ერი, და ძირს დაეშობო
 თავყვანის ცემით, ზარ დაცემული.
 შეჭკვივლა დეღამ და მუჰურა,
 გულში ჩაიკრა გიჟურად შვილი
 და მომეტებულ სიხარულითა
 გულ მოსაოხნი იწყო ტორილი

ქურუმთ მთავარმა, რა დანახა
 ძირს დამხობილი შემკრთალი ერი,
 რომ თავის თავი გადებრჩინა,
 ძირს ემხოზადა თვითონც, ცბიერი.
 დედებმაც ერთ-ხმად დასძახეს გრძნობით:
 „კერთხეველ იყოს წმინდა ანდრია!..
 და ის ძლიერი მისი მომდგვარი,
 რომელსაც სისხლი ჩვენთვის უდვრის!“

დმერთი ის არის რომელიც ქვეყნად
 ამ გვარად აჩენს დიდ სასწაულებს
 და არა ისა, რომელიც ჩვენგან
 მსხვერპლად თხოვილობს უმანკო შვილებს!..

• დედასკვების ამ გვარ სიტყვებმა
 მამაკაცებოც მოიყვანეს გონს;
 დაიგრიანა ერთ პირად ერმა
 და მიაშურა კერპების ბომონს.

უარ ჰყო მან ის რაც წინათ სწამდა
 უშიშრად მედგრადა შედეწა კარი
 და სადაც ძველი გერპები იდგენ.
 იქვე აპართა მან წმიდა ჯვარი.

აკაკი.

სამღვდლოქაშის მღვრეპაროზა ოსეთში.

„მისთანა ბნელ და გაუნათლებელ კუთხეებში,
 როგორიც არის ოსეთი, სამღვდლო პირთა, რასაც
 ეირველია, დიდი მნიშვნელობა აქვსთ. დიდი ხანი
 არ არის, რაც ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს; ჯერ
 ეხლაც თითქმის ნახევარი ნაწილი ოსებისა მაჰმა-
 დანის არიან, და თვით იმ ნაწილსაც, რომელიც
 ქრისტიანად იწოდება, ქრისტიანული არა ეტყობა
 რა. რასაკვირველია, აქ სულიერს მამებს ძალიან
 დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ღრომდე თავი
 დაეწებოთ ჩრდილოეთ ოსეთს (მერგის ხეობისა)
 და ესთქვათ რამდენიმე სიტყვა სამღვდლოების
 მღვრეპაროზაზე გორის მაზრის ოსეთში.

ჰთელი გორის მაზრის ოსეთი, რომელშიაც
 20.000 მცხოვრებზე მეტია, გაყოფილია ორს საბლა-
 ლოჩინოდ: ზაფისა და ორტყვისა. მარტოცა ამ ორს
 ბლალოჩინს აქვსთ გათავებული სემინარიის კურსი,
 სხვა მღვდლები კი ზოგნი ნადაკენარნი არიან, და
 ზოგნიც სასულიერო სასწავლებლიდამ გამორიც-
 ხულნი ან ცუდყოფაქცივისების და ან ზარმაცობი-
 სათვის. რასაკვირველია, ამისთანა მღვდლებს, რ-
 მელთაც სრულიად ოსური ენა არ იციან, არავითარი
 მნიშვნელობა არა აქვსთ ოსეთში, სადაც მღვდელმა
 თვეში ერთხელ მაინც უნდა უქადაგოს ხალხს და
 სხვა...“

ბ. ჯავაში ბლადოჩინად დანიშნა ამას წინედ ერთი, მართლაც რომ, პატივცემული მამა ზურაბ ჯიოშვილი. მამა ზურაბი ძალიან ენერჯული კაცია და ყოველთვის დიდ დღესასწაულებში წარმოსთქამს ხოლმე ეკლესიაში კათედრიდამ, ანუ გარეთ „ნახახე“ (კრებაზე), მშვენიერ სიტყვას ოსურ ენაზე. ლმერთა ჰქნას, რომ მამა ჯიოშვილმა შემდეგშიც არ დაიხაროს შრომა.

ბ. ორტყეში ბლადოჩინად არის მ. ლევ. შილიშვილი, რომელზედაც, სამწუხაროდ, იმას ვერ ვიტყვი, რაც ესტეკით პირველზე.

საზოგადოდ მღვდლები უნდა ეცადნენ გავლენა მოიბოვონ ხალხში, თორემ შემდეგში ხალხიც არად ჩაადგეს თავის სულიერ მამებს. აი მაგალითი: მე მომიხდა ყოფნა ზორის მაზრის ოსეთის ს. სუახხურში. აქ თურმე ერთ ოს დუხარება რამდენიმე დღის წინედ მღვდელი, რომ საფლავი ეკურთხებინა, დანიშნულ დროზე; ერთ საღამოს, მღვდელი მ. ჩ—ძე მოპრძანდა იმ სოფელში (უნდა ესტეკათ, რომ მ. ჩ—ძე შორს იდგა იმ სოფლიდამ), მაგრამ ოსმა უთხრა: „წაიდი ღვდლო და მერე მოდი, ეხლა არა ცალიან, ხალ დღეობა გაქ!“ რასაკვირველია მღვდელიც ძალა-უნებლიედ დაბრუნდა შინ!...

მატერიალური მდგომარეობა ოსეთის სამღვდელოებისა ამას წინედ გაუუმჯობესა კავკასიაში მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგენელ საზოგადოებამ და კარგ მდგომარეობაშიაც არის!...

გ. ჩიჩიშვილი.

სხვა და სხვა ამბები და შინიშნებები.

ჩარსულ წელში ბ. ცაგარელი იყო გაგზავნილი წმიდა ადგილებში: იერუსალიმში, სინას მთაზე და სხვ. ქართული ხელნაწერების გამოსაკლევად. ბ. ცაგარელმა მრავალი ქართული ხელნაწერები ნახა სინას მთაზე და სხვა ადგილებშიდაც, რომელიც წარუდგინა პალესტინის საზოგადოებას, დაარსებულს პეტრობურღში. მსლა, როგორც ისმის, განზრახვა აქესთ უფრო დაწვლილებითი გამოაკლევვა მოახდინონ ამ წმიდა ადგილებში და მრთელი კამისია იქნება გაგზავნილი.

* *

ჟამოვიდა უქაზი ოქტომბრის ხინოდისა, რომლის ძალითაც ოთხ კლასის კურსის შესრულების

შემდეგ ყველა მოწაფენი ატესტატებით უფეზამენოთ იქმნებიან მიღებულნი სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მიღებულნი იქმნებიან მარტო ისინი, ვინც კარგად ეგზამენს დაიჭერს ოთხი კლასის კურსის შესრულებისას.

* *

ჩრავალმა პირებმა განაცხადეს ჩვენთან სამღურავი ბ. ივ. შ—ზე, რომ მუთაისის საეკკლესიო სანთლის დუქანში სანთელს ვეღარ მოვობენ. ორ-სამჯერ მისულან და ყოველთვის იმას ეუბნებიან: გამოწერილი გვაქს მოსკოვიდამ სანთელი და ჯერეთ არ მიგვიღიაო. ჩვენ გვინდოდა შევეცუო ამ სამღურავის საფუძვლიანობა და, სამწუხაროდ, ნამდიღ დავრწმუნდით, რომ სანთლის დუქანში სანთელი სრულებით აღარ არის, რომ ყველა მიხივანელები დააკმაყოფილონ...

შურნალ-გაზეთთა მიმოსილვა.

„**შრობის**“ კვითსულობათ შექდეკ ამბავს შესახებ ბ. ცაგარელის მოგზაურობისას სინას მთაზე ქართული ხელნაწერების გამოსაკლევად: ამ დღეებში მომხდარ პეტრობურღში ოაერ-პროკურორის ზობელონისცვის სადგურში სხდომას ზღვესტინის საზოგადოების თავის მდომარეობით დიდის მთავრის სერგი ჯაგეს.—მის. რომელსედაც ბ. ცაგარელს მოუხსენებია თავის მოგზაურობის ამბავი სინაიზე და ზღვესტინაში. ბ. ცაგარელს უამხნა, თუ როგორ სსმსელოა მოგზაურობას სინასის ნსეკვარ-კუნძულზე და აუწერია დაწვრილებით სინასის მონასტერი, აშენებული მეექვსე საუკუნეში, როგორც ანაშებს სედ-წარწერას შესავად კარგზედაც. ამ მონასტერში თურმე მრავალი ძველი ნივთიულობაა. მონასტრის წიქნთა სხცავში ბ. ცაგარელს უნახავს მარტო ქართული ხელნაწერი 88. განსაკუთრებით სსხუდიერო შინაარსისა და ჯერედ სრულიად უცნობი. მათ შორის შესხანსხავია თურმე ფსლმუხი VI—VII საუკუნისას ჰპირუსზე დაწერილი. დანაწიქ ხელნაწერი შორის 66 პერგამენტზე. შექდა ამ ხელნაწერებისათვის ბ. ცაგარელს დაწვრილებით კატალოგი შეუდგინა. ზღვესტინაში უნახავს ბერი ძველი ქართული მონასტერი, ესდა მექეთებდაც გადაჭედილნი. მათში უბოკია 138 ხელნაწერი და გადმოუღია 32 სურათი ქართველ მეფეთა და სსხუდიერო პირთა და ცხრა ამ სურათთაგანი უჩვენებია სხდომასზე დაწმწრეთათვის. ბ. ცაგარელს თვისის ფრთად მძიმე შრომისათვის მიუღია მადლობა დიდის მთავრისაგან.



სწავლა და მემწიერება ქრისტიანობის სარწმუნოებისა და კეთილ-ზნაობისა.

სიტყვა

ახალს 1884 წელსა, თქმული ქეთისის სობოროსა შინა ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისსა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვიძინოს თქვენ. (მათე ვ. ლბ.)

შდეს, ჩვეულებისამებრ, ყოველი კაცნი მიუღოცვენ ერთმანეთს ახალ წელს და ისურვებენ ერთმანეთისათვის ახალს ბედნიერებას და ახალს სიხარულს. ბედნიერება, კეთილ-წარმატება, სასიხარულო დღეები—ი რას ეტლივან ყველანი და რას ისურვებენ ერთმანეთისათვის აკვირდვან თვით საუღავეამდინ. მსრეთი მისწრაფება კაცთა ბედნიერებისადმი არის თვით ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილება. ძაცის ბუნება უნებლოვად ერიდება მწუხარებასა და ეძიებს ბედნიერებას. იმკრთოსაც წვალებისთვის კი არ შეუქმნია კაცი, არამედ ბედნიერებისა და სიხარულისათვის. მაგრამ, კაცთა ახირებული წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე. მსგავსად ძველთა კერბო-მსახურთა, ჩვენ დროშიაც, უმეტესს ნაწილი ხალხისა წარმოდგენს თავის ბედს რაღაც კაცის სახედ, რომელიც დადის კაცთა შორის თვალახვეული და, ვისაც შემთხვევით მიადგება, მას მიანიჭებს ყოველივე ბედნიერებას. არა, ძმანო ქრისტიანო, ქეშმარიტი ბედნიერება არ მიენიჭება კაცსა შემთხვევით, უმიზნოდ, ის, თითქმის, ყოველთვის შედგეია მრავალ-შრომითა და მოღვაწეობათა.

ძაც გინდა ილაპარაკონ კაცთა ამის წინააღმდეგად, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ბედნიერება ხშირად არის ჯილდო კაცის კეთილ-მოქმედებისა, მაგრამ კაცნი შემკდარნი არიან, როდესაც გარეგან და ნივთიერ წარმატებაში ხედავენ თავის ბედნიერებას, ვინაიდან ერთი მხოლოდ გარეგანი ბედნიერება და ნივთიერი სიკეთე არ შეადგენს კაცის ბედნიერებას. მართა. უბრალო, მაგრამ გონიერი რუსული ანდაზია: რომ საშუალო ოქროსაგანაც ცრემლი მოსდის კაცსა. როდესაც კაცის სული არა არის დაწყნარებული, როდესაც კაცის გული სკდება სხვა-და-სხვა ცუდთა ენებათაგან, მაშინ არა ვითარი ქვეყნიურ

დიდებსა არ შეუძლია მიანიჭოს კაცსა კმაყოფილება და ბედნიერება.

ქეშმარიტი გზა, რომელითაც კაცს ძალ-უძს შესაძლებელი ბედნიერება მოიპოვოს ქვეყანაზე, ნაჩვენებია ზემო მოყვანილ ზაცხოვრის სიტყვებში: ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ითვისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვიძინოს თქვენ (მათ. ვ. ლბ.) ე. ი. ეცადეთ უწინარეს ყოვლისა, რომ სულთა შინა თქვენთა დაარსდეს სასუფეველი ითვისა, შეიქმნენით ძენი სასუფეველისა ითვისა, სცანით სიმართლე ითვისა და ძეიყვარეთ იგი და მაშინ ყველა დანარჩენი, ე. ი. მშვიდობა, სიხარული და ყოველივე, რაცა არის საქირო კაცისთვის ქვეყანაზე, ე. ი. საქმელი, სასმელი, ტანისამოსი და სხ. თავისთავად მოგენიჭება თქვენ.

ხელ უბრალო და მოკლე მოფიქრება მიიყვანს კაცს ამ დასკვნამდის. მართლა რა აბრკოლებს უფრო კაცის კეთილ-დღეობას ქვეყანაზე? სისუსტე, ბიწიერება, ვნება, კაცისაგან და მთვან წარმოდგენილი: სიღარიბე, აეთა-მყოფობა, მტერობა და შური ერთმანერთში. მართი უღიდესი უბედურებათაგანი, რომლებიც არდევვენ კეთილ-წარმატებას მრავალთა კაცთასა, არის სიკლანჯე და სიღარიბე. მარნა თვით კაცნი არიან ხშირად მიზნები სიღარიბისა თავისი სიზარმაცით, ცუდი ხარჯით და თავისი ბიწიერი ცხოვრებით. მეორე უბედურება, შემუსრავი ხალხისა, არის ავად-მყოფობა და უღროვო ღმრის სიკედელი. მაგრამ თვის არ მოხდება აქაც ხშირად, რომ თვით კაცი თვისი უროვო და არა ზომიერი ცხოვრებით არდევს თავის ტანის სიმრთელეს და იწვევს უღროვო სიკედელს? ბოლოს, სიღარიბისა და სწეულებათა უარესად თვითონ კაცნი ლუბვენ თავის თავს ერთმანეთის მტრობით და შურით, მაგრამ ყველანი, უმოპოვრენს მიზნნი ხალხთა უბედურებისა, შემკირდებიან და კიდევ განჭკირდებიან, თუ თვით თვული კაცის ანუ მთელი საზოგადოების სულში დამყარდება სასუფეველი ითვისა, ე. ი. სიმართლე, მშვიდობა და სიყვარული. შეიძლება ამაზე გვითხრან: გარდა იმ უბედურებათა, რომელნიც თვით კაცისაგან წარმოსდგებიან, არის კიდევ მრავალი სხვა მოულოდნელი უბედურება, რომლებიც კაცს ცხოვრებაში შეეხებიან. ეს მართალია! და ნეტა იმას, ვინც მამაცად აიტანს და სულით არ დაეცემა. არამედ მეცადინობს, რომ ყოველთა უბედურთა შემთხვევითაგან გამოიტანოს რაიმე ზნეობითი სარგებლობა. მაგრამ ვის უფრო შეუძლია ასე მოიქცეს?



იმას, რომლის სულშიაც დამკვიდრებული არის სასუფეველი **მ**ეთისა, რომელიც, სიტყვისა-მებრ მოციქულისა, არის: ქე შმარიტება, მ შვიდობა და სხხარული სულისა მიერ წმინდისა.

მართლა, ბედნიერება არ არის რაიმე გარეგანი კაცისა; ის არის - მისი შინაგანი მშველობანი, მხიარული და მხნე სულის მდგომარეობა. **ღ**ა ამისთანა სულის მდგომარეობა შესაძლებელია კაცისათვის მაშინ, როცა კაცის სინილისი წმიდა და დამშვიდებული არის. ამიტომაც ვსთქვით ჩვენ ზემოთ, რომ ბედნიერება და ჩვენი წარმატება ვერ მოგვანიჭებს ჩვენ ნამდვილად ბედნიერებასა. **მ**ართლა, ყოველთვის იყო მრავალნი პირნი და ჩვეენს დროში უფრო მომეტებულია, რომლებიც თავის-თავს ნამდვილ ბედნიერ კაცად სთვლიან მაშინ მხოლოდ, როცა შეუძლიათ საკმოდ დააკმაყოფილონ თავიანთი სხეულის პირუტყული მოთხოვნილებანი და ამის გარდა სხვაზე აღიარას ფიქრობენ. მაგრამ ამისთანა ბედნიერება, ჩვენის აზრით, შეეფერება მართა პირუტყვითა და არა გონიერთა არსებობათა. **ს**აკს, რომელიც მთლად არ ემორჩილება თავის პირუტყულს მოთხოვნილებასა, ყოველთვის აქვს ერთი რაიმე საგანი, უმაღლესი მიზანი, რომელზედაც მისი აზრი და გონება არის დამყარებული და სულიერი და ფიზიკური მისი ძალა ეძიებს რაიმე მიზნიდევლ სამოქმედო ასპარეზს. **ღ**ა ეს იქმნება დანერგვა და აღორძინება სულთა შინა ჩვენთა **მ**ეთის სასუფეველისა, ხოლო აქ საჭიროა მცადინებობა, რათა ვაგს წმინდობა და გავუმჯობესოთ ჩვენი სული, განვაშროთ მისგან ყოველივე სიწამხორე, ცოდვა, მიეჩვიოთ ჩვენი სული და გული უმაღლესს ღვთაებობას. **მ**ეთი სიტყვით, მიუხელოვდეთ **მ**ეთისა, ვიცხოვროთ მასთან.

ქარციელინი წრთენა (ხოროცის მოფერება) ამბობს მოციქული პავლე, მცირედ სასარგებლოა, **მ**ეთის მსახურება ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა. **შ**ოველივე ქვეყნიური წარმატება მიაწიქებს კაცს მოკლე დროებითი სარგებლობას, ხოლო **მ**ეთის მსახურება ყოველთვის და ყველგან სასარგებლოა. ის ქვეყანაზედაც მისცემს კაცს მშვიდობას და ბედნიერებას და მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვისაც მიაწიქებს მას საუკუნო ნეტარებას.

ძამნაო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ჩვენ ყველანი, ყოველ ღღეს ვევედრებით **მ**ეთისთა: „მოვედინო სუფევა შენა“. გარნა ვთხოვთ არა **მ**ეთის სიტყვიან, ჩვენ საქმიითა უნდა ეცდილობდეთ მოსვლას და წარმატებასაც მისსა ქვეყანაზე. მაგრამ

ვინ უფრო ვალდებულია ჩვენ შორის, განსაკუთრებით, მოცხმაროს ამ საქმეს? ჩვენ, ნასწავლნი და განათლებული პირნი, უმეტესად ისინი, რომელნიც მსახურებენ **მ**ეთისთა და მივსა, რომელნიც სწავნან საზოგადოების წინ და რომელნიც იცვენ საზოგადოების სულიერთა და ნიეთიერთა სარგებლობათა. მეტად ღიღია ჩვენი პასუხის-გება **მ**ეთის წინაშე, განსაკუთრებით ეხლანდელ დროში, როდესაც ცხადდინიწნება საზოგადო წნეობითი და გონებითი რყევა და არეულობა. მთელი სახელმწიფოს ცხოვრებაში ამისთანა სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ეხლა გვადეთ, ღიღი ხანია არ უნახავს კაცობრიობას ქვეყანაზე. **შ**ოველთვის ყოველივე ქვეყანაზე: ქურდნი, მცარცველნი, კაცის მკვლელნი, მაგრამ არასოდეს არ უნახავს თვით ველურ ხალხთა შორის, რომ ისინი შეერაცხოთ არა დამნაშავედ, ტაში დაეკრათ მათთვის და პატივი მიეცათ. მაგრამ რას ვხვადეთ ეხლა ჩვენ? ღიღი ქალაქების საზოგადოება ამისთანა დამნაშავეთა არა თუ აშართლებსთ, არამედ ტაშს უყრავს. მაშინ მკვლელობა, საზოგადოების ფულების მცარცველთა და სხვა დამნაშავეთა პატივით მიიღებენ. ამისთანა საზოგადო ველური მოვლინებათა დროს, ყველანი, რომელთა გულშიც კიდევ დარჩა ცოტადენი პატივისცემა კაცის ღირსებისა, უნდა აღსდგეს დასაცველად სიმართლისა და კეთილისა, დასაცველად განხრწნილთა არა კეთილთა პირთაგან. სიტყვით და საქმით უნდა აღუდგეთ წინ ამისთანა სიმართლის დამაზნებელდ და დამამცირებელთა მოვლენათა, ვიდრემდის არ გამქრალა ჩვენში უკანასკნელი ნაპერწკალი **მ**ეთის ქე შმარიტებისა და მამულის სიყვარული, რომელიც განათლებული მეროპის წინაშე დამდაბლებულია და დამცირებული საოცარი მოქმედებებით. ამინ.



წმიდა მოციქული ანდრია პირველ-წოდებაული.

მიღა მოციქული ანდრია იყო მის ზეტრე მოციქულისა ქალაქ ბეთსაითიდან; მოციქული ანდრია იწოდებ ჰირველ-წოდებულად მისთვის, რომ ის იყო ჰირველად მოწოდებული **ბ**აფლისაგან; ჰირველად ის იყო იოანეს ნათლისმცემლის მოწაფე. ერთ დროს იოანეს ნათლისმცემელს იხილა **ქ**სო ზრისტე მიძ-

ვალი ღ უთხრა თავის მოწაფეთ: „აჰა ტა-
რავი იმართისა.“ კაციონს თუ არა ეს
სიტყვები წმიდა ანდრიაჲ, დასტავა იოანეს
ნათლის-მცემელი ღ განჰგება უკან **ესო ჟრის-**
ტეს. ესო ჟრისტე მიუბრუნდა ღ ჰკითხა მას:
„ვისა ემიებ?“ ანდრია მოციქულმა მიუგო
მას: „მოდვარ! სად იყოფები?“ **ესო ჟრის-**
ტემ მიუგო მას: „მოვედ ღ იხილე.“ ამიერიდ-
გან წმიდა ანდრია მოციქული დაწა **ესო**
ჟრისტესთან.

ანდრია მოციქულმა ნახა თავისი მძა
სიძეონი ღ უთხრა მას:

— „ჩუ ვიხილე ჰესისია“ ღ მიიუენა ისიც
ესოსთან. ერთხელ ანდრია ღ სიძეონი თუე-
ზაობდენ კალილიის ზღვაში, **ესო ჟრისტე**
მიუახლოვდა მათ ღ უბრძანა:

„ზოდით ჩემთან, მე ვაცხდით თქვენ მე-
სათხველედ კაცთა.“

ზოციქულებსე სულის წმიდის კადმოსე-
ლის შემდეგ წმიდა მოციქულს ანდრიას შეხვდა
წილში იმართის სიტყვის ქადაგება ბითონიის
მხარეებში, ხალკიდონიაში, ვიზანტიაში, მაკე-
დონიაში ღ ღუსანიადდე; ჰქადაგებდა იგი თე-
სალონიკიაში, ელლადში ღ აქაიას მხარეში;
ქადაგებდა ტრანკიონში, სინობში. ეველგან
აღფინიდენ ღ აწვალბდენ მას, მაგრამ იმართის
შეწევინთა გადარჩებოდა ტან მთელად. აქედამ
წავიდა საქადაგებლად სხვა ღ სხვა მხარეებში;
ეველგან სტავებდა ხელ-დასმულ მღვდლებსა.
ანდრია მოციქული ჰქადაგებდა საქართველოს
მხარეებში; საქართველოს მხარიდგან წავიდა
ხერსონეთით რუსეთის მხარისაკენ ღ კიევიში
აღმართა წმიდა ჯვარი ღ უწინასწარმეტყველას
რუსეთს მომავალი განათლება სარწმუნოებითა.

ჟოლოს აქაიაში, ქალაქს ზატროსში, წმ.
მოციქული ანდრია დაბინავდა ერთს ზატროს-

სანს მოქალაქე სასიანთან, რომელიც განჰქურნა
სასიკვილო ზათმოყოფობისაკენ ღ მრავალის
სასწაულებით მოაქცია ეველს ამ ქალაქის
მცხოვრებლები.

ამ ქალაქის მმართველი ენატი, რომლის
ცოლი წმ. ანდრია მოციქულმა განჰქურნა ღ
მოაქცია, განურთისდა მას ღ უბრძანა წმ. მო-
ციქულის დაჰყრა ღ საზატროსში ჩავდება.

ევერებულმა ხალხმა მოასდინა არეულობა
ღ მოინდომეს მმართველის მოკვლა ღ წმ.
მოციქულის ანდრიას განთავისუფლება, მაგრამ
ანდრიაჲ უთხრა მათ:

— „ჩუ მოასდენთ არეულობას **ოფლის**
ჩვენისა **ესო ჟრისტეს** სახელისათვის, რომელ-
მაც დავეტიტება ჩვენ მოთმინება ღ ერთი სიტყ-
ვაც არ წამოსცდენია სავედური, როდესაც ის
სასიკვილოდ მიჰვავდათ; დაწინარდით თქვენ
ღ იუფით სრულებით მშვიდნი, ნურას დაუძ-
ლით ჩემს წვალებას, მხოლოდ იუვენით მზით,
როგორც ჟრისტეს მხედარნი მოითმინოთ
ეოველ-გვარი წვალება ჟრისტეს სახელისათვის

ესე ვაატარა მთელი დამე წმიდა ანდრია
მოციქულმა, ასწავებდა რა ხალხს მოთმინებას
ღ ამტკიცებდა მათ ჰეტმართს სარწმუნოებაში.

მეორე დღილას, როდესაც წმიდა ანდრია მო-
იუენანეს სამსჯავროში, მმართველმა ჰკითხა მას:

— „ზოიფიქრე შენ თუ არა, რომ აამორო
შენი თავი ამ წვალებას ღ ცეცხლს ღ ისა-
რებდე ჩვენთან ერთად?“

— „შენთან ნეტარება ღ მსიარულება მე
შემიძლია მხოლოდ მაშინ, მიუგო წმიდა ანდ-
რიაჲ, როდესაც შენ ერწმუნები ჟრისტეს ღ
უარსა ჰყოფ კერძებს.“

— ზამანეჲ მე თავი, მიუგო მმართველმა,
ღ ნუ ატუეუბ ხალხს შენი ცრუ სწავლით,
არამედ შესწირე მსხვერპლი ღმერთებს; თუმც

არ აღასრულებ ჩემს ნებას, მაშინ გაწვალე მე და ჯვარს გაცვათ.

წინდრიამ მიუგო:

„ჰადიკონე მე მსახურსა და მოციქულსა **ოფლის** ჩემისა **ესეა** **ჩრისტესა**; მე მინდა, რომ შენ გასწავლო ჰემდარიტი სარწმუნოება, რათამცა თავგანი სცე შენ იმერთსა, რომელიც არს ცათა შინა; მაგრამ რადგანცა შენ აქა-ბოძდე იძოფები უმცნებებაში და ჰეიქრობ, რომ მე მეშინიან სასჯელისა და წვალებისა, მაშინ გამოიკონე უსასტიკესი სასჯელი ჩემთვის და იცოდე, რომ უოველგვარ წვალებას მოვითმენ ჰეუფისა და მვითისა ჩემისათვის.“

ზაუწყეს მას ცემა ისე, რომ დედა მიწა შეიღება მისის სისხლითა; შემდეგ მმართველობა ხელ-ანლა დაუწყო მას კიდევ შეკონება.

—**ჰადიკონე** მე ანდრია, უთხრა მან, ნუ ღვრი ტუფილ უბრალოდ შენ სისხლს, თორემ ჯვარს გაცვათ.

—**ჰე** **ჩრისტეს** ჯვარის მონა ვარ, მიუგო მოციქულმა ანდრიამ, და ჯვარზე სიგელილი უფრო მსურს, არა თუ მეშინია მისი; მაგრამ მე უფრო ვსწუხებარ შენს დაღუპვას, ვიდრე ჩემს მწუხარებას; აქაც შეგიძლია განმორდე საუკუნო წვალებას და ახლა მაინც, როდესაც დარწმუნდა ჩემს მოათენილობაში, ერწმუნო **ჩრისტეს**.

—**ჰა** ჯავრებულმა მსაჯულმა ბრძანა, რომ ჯვარზე ეცათ ანდრია და, როდესაც საწამებულად მიჰყავათ, ხალხი იბანოდა:

—**„**მა შესცოდა ამ მართალმა კაცმა და მეკობარმა **ოფლის**ამ, რომ ჯვარზე უნდა აცვან; მაგრამ ანდრია ესვეწებოდა ხალხს არაფერი არეულობა მოეხდინათ და არ დაებრკოლებოთ მისი ტანჯვა.“

—**ბოღესაც** შორიდგან შეხედა ანდრიამ მისთვის მოძხადებულს ჯვარს, სთქვა:

—**ინარებდე** ჯვარო, **ჩრისტეს** სორცით განათლებულო, მოგდივარ კანდიერებით და სინარულით შენთან და შენც სინარულით და მხინრულებით მიმიღე, მე უოველთვის მიეგარდი შენ და კეძებდი დაუცსრომელად; მიმიღე ამ ერთაგან და მიმეც ჩემს მოძღვარსა. გაიბრო ტანისამოსი და მისცა თავი მწამებელთა ხელში და მათ აცვეს იგი ჯვარსა ხედა და მიაკრეს მას ხედა ხელითა და ფეხითა.

ჰარეშეძო ძღვოში უნთი, რიცხვით ოცი ათასამდე, რომელითა რიცხვში იყო მძა მწამებლისა სტრატოკლი ევიროდენს: უძართლოთ იწამება კაცი ესე. წმიდა ანდრია ჯვარზე დამოკიდებული ორი დღე ასწავებდა ხალხს მოთმინებასე და ამტყვიებდა მორწმუნეთა. აღეგლდა ხალხი და მოითხოვა წმიდა ანდრიას ჯვარიდამ გარდმოსნა. მსაჯული შეშინდა და მოიძღობა ჯვარიდამ ჩამოსნა ანდრიასი და წავიდა მისკენ. წმიდა ანდრიამ იხილა რა მსაჯული მიძვალა მისკენ ჰკითხა მას: „რისთვის მოდისარ შენ აქ? თუ გსურს ერწმუნო **ჩრისტეს** გაცესნება შენ მადლის კარები და თუ მოხვედ მისთვის, რომ ჯვარიდამ ჩამომსნა არა მსურს მე ესე; მე ვხედავ ჩემს ბეუფეს და თავგანს გსცემ მას; უძჯობესია მოიფიქრო შენ თავსე და სანამ დრო გეცადა მოხვიდე კონხე.“


ბოსამსახურენი და ბუგრიც კიდევ სხვანი მივიდნენ მასთან ჩამოსასხნელოთ, მაგრამ იგი მიიქცა **ივით**სადმი ღოცავითა და აღვიარა: **ოფალი** **ესეა** **ჩრისტე**—**ნუ** მიმიყვან მე რათა ცოცხალი ჩამომსნან ჯვარიდგან, არამედ მიმიღე მე, მოძღვარო ჩემო! და მიმიღე სული ჩემი **ბეუფე** **ესეა** **ჩრისტე** უწინარეს ვიდრე

მე ჩამოქმსნიდნენ ჯვარიდგან. ასე ლოცვი-
ლობდა წმიდა მოციქული ანდრია ბ უმცროსი
ელვის მგზავსათ განათება ციურბს სინათლემ
იგი ისე, რომ კაცის თვალს არ შეეძლო მისი
შეხედვა. ეს ციური მოვლენა გავრძელდა ნა-
ხევარ საათს.

ემ დროს მიერთმა მიიღო სული მართ-
ლისა. მწამებლის ცოლმა, რომელიც ერწმუ-
ნებოდა ჴარისტეს, დანახა თუ არა, რომ წმიდა
ანდრიამ საუკუნოდ განუტევა სული ბ მიანბ-
რს ოფელსა, ჩამოსხნა ჯვარიდგან ბ დიდის
პატრივით შემურვილი სურნელებითა ჩახსვენა
კუბოში ბ მიანბარს საფლავს.

ემოთებულ ხალხსე მსაჯულს გაჯავრე-
ბულს უნდოდა დაესჯა ხალხი, მაგრამ უცნ-
რად შუა ქალაქში დაცნენ მას ბაროტნი
სულნი ბ აწამეს იგი სასიკვდილედ.

ჩამოდენიძე წლის შემდეგ წმ. მოციქუ-
ლის ანდრიას ნაწილები გადმოტანილ იქმნა
კონსტანტინოპოლში ბ დასვენებული წმ. მო-
ციქულების ტამარში წმიდანთა მახარებელთა ბ
მოციქულ ტიმოთეს ნაწილებთა შორის ერთად.
სადაც აქამდისაც ეძლევათ მათგან მკურნალებს
ეოჯულთა სარწმუნოებით მიმსვლელთა ბ თა-
ყვანის მცემელთა.



წმ. მოციქული	წმ. მოციქული
ლევ.	გაბუნდარული ცნობები. იანვრის თვისა 15—31 რიც.
15 კვირ.	ღა კვირიაკე. სწ. საციხსკრო სასარგებსა ს ხმა ს . დიონისა მამის ჩვენისა პაპელ თებულისა ბ იანხნე გლახავისა.
16 ორშ.	თაყვანის ცემა პატრიარხისა ჯაჭვისა წმ. ბ ეოჯულად ქებულისა პეტრესი.
17 სამშ.	დიონისა ბ დემეტრე შემოსილისა მამის ჩვენისა დიდისა ანტონისა.
18 ოთხ.	წმ. შორის მამათა ჩვენთა ათანასი ბ კირილე ალექსანდრიის მთავარ ეპის.
19 ხუთ.	დიონისა მამის ჩვენისა მკარი მეკობრეებისა და დიონისა მამის ჩვენისა ანტონი მარტო მყოფელისა.
20 შაბათ.	დიონისა ბ დემეტრე შემოსილისა მამის ჩვენისა დიდისა კეთილისა.
21 შაბ.	დიონისა მ. ჩვენისა მასხივი აღმსარებელისა
22 კვირ.	კვირიაკე სწ. საციხსკრო სასარგებსა ს ხმა ს . წმ. მოციქულისა ტიმოთესი.
23 ორშ.	წმ. მღვდელ-მოწამისა გლიმისა.
24 სამშ.	დიონისა დიდისა ჩვენისა ქენისა.
25 ოთხ.	წმიდანთა შორის მამის ჩვენისა გრიგორი კონსტანტინოპოლელ მთავარ ეპისკოპოსისა.
26 ხუთ.	დიონისა მ. ჩვენისა აქსენტორესი. ამასვე დღეს სხენება წმ. კეთილ მხსნ. საჭართ. მეფისა დავით მესამისა აღმაშენ. წოდ.
27 შაბათ.	აღმოყვანება ნაწილთა წმ. შორის მ. ჩვენ. იანხნე ოქრობირისა.
28 შაბ.	დიონისა მამის ჩვენისა ეგრემ ანურისა.
29 კვირ.	კვირიაკე სწ. საციხსკრო სასარგებსა ს . ხმა ს . წმ. მღ. მოწ. ეგნატო დმ. შ.
30 ორშ.	წმ. მღვდ. მოწ. ანტონე რომათა პაპისა ბ წმ. შორის მამათა ჩვენთა გასილი დიდისა ბ გრიგორი დვითის მეტეფ.
31 სამშ.	წმ. ბ საკვირეულ მოქმედთა უეცრულთა კვირისა ბ იანხნე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო განათს „მწეემსზედ“

F 25
1884

მაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქალაღლის ფურცელზე.

მაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—საუთო მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი. შეიძლება მარტო მკლამბრის და ნაგებრის თვეების №№ დაბარებაც.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. შუთაისში: შუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს მსტატე ბესარიონის ძეს ლამაზიძესთან.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალის კანტორის წევრს არხიმანდრიტ ბრიგორისთან.

მაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. მაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:

მართული გაზეთის „მწეემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (შვირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦѢМСИ“.

მიიღება ხელის მოწერა

მიიღება 1884 წლისათვის გაზეთის

დროებანჯედ

(წელიწადი მეცხრანაშუად)

თბილისში, „ღროების“ რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნახაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, მანო როსტომაშვილთან.

აშუთაისში, შილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ზორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან. მალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *68* **Тифлис, въ редакцію „Дროба“.**

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით) 9 მან.	6 თვით . 5 მან.
11 თვით . 8 მ. და 50 კ.	5 თვით . 4 მ. და 50 კ.
10 თვით . 8 მ.	4 თვით . 4 მ.
9 თვით . 7 მ. და 50 კ.	3 თვით . 3 მ.
8 თვით . 7 მ.	2 თვით . 2 მ.
7 თვით . 6 მ.	1 თვით . 1 მ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით —4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა გაზეთის დაბარების-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გ ი ლ ე ბ

როგორც ქალაქებიდამ ისე სოფლებიდამ ეკლესიის კანკალავს და კიოტავს გასაკეთებლად ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. თფილისში საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლში, № 8.

განკელის და მეუელის ოსტატო
დავით გიგაური.

აშუთაისში მანისლ ნიკოლაძის

„პასუხა გალანაშილ“

ისეიდება

შოთა რუსთველის აღებასტრის სახე
ფასი 1 მან. და 25 კ.

Дозв. цензурою Кутаись, 21 Января 1884 г.
Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.
მწააფელმუკდავი ზუგდიძის და ფერაძის.